

არაოფიციალური თარგმანი

8 მაისი, 2015

ბრიუსელი

ევროკომისიის მიერ მომზადებული ანგარიში ევროპარლამენტისა და ევროკავშირის
საბჭოსთვის

მესამე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის
სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შესახებ

1. შესავალი

საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი ევროკავშირმა 2012 წლის ივნისში დაიწყო. 2013 წლის თებერვალში ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“ (VLAP). გეგმაში განსაზღვრული იყო ნიშნულები (benchmarks), რომლებიც საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს, რომ ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ მოკლე ვადით შენგენის ზონაში უვიზოდ შესვლა.

2013 წლის ნოემბერში ევროკომისიამ მოამზადა პირველი მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ შესრულების შესახებ¹ და გამოსცა რამდენიმე რეკომენდაცია სამოქმედო გეგმის განხორციელების პირველი ფაზის (საკანონმდებლო და დაგეგმვის) დასრულებასთან დაკავშირებით. 2014 წლის ოქტომბერში ევროკომისიამ მოამზადა მეორე მიმდინარე ანგარიში², რომლის მიხედვით საქართველომ შეასრულა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ პირველი ფაზის ნიშნულები და მზად არის მეორე ფაზით გათვალისწინებული ნიშნულების შესრულების შეფასებისთვის. 2014 წლის 17 ნოემბერს ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის შეფასება.

2014 წლის დეკემბერში საქართველომ ევროკომისიას განახლებული მიმდინარე ანგარიში წარუდგინა. 2014 წლის დეკემბერსა და 2015 წლის მარტში „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ოთხი ბლოკის შესაფასებლად ევროკომისიის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ შემფასებელი მისიები. მისიების შემადგენლობაში შედიოდნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ექსპერტები, რომლებსაც დახმარებას უწევდნენ ევროკომისია, ევროკავშირის საგარეო სამსახური (EEAS) და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა.

წინამდებარე დოკუმენტი პირველი მიმდინარე ანგარიშია, რომელიც საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეორე ფაზის შესრულებას შეეხება. აქ წარმოდგენილია დღემდე მიღწეული წინსვლა და აღწერილია ის, თუ როგორ შესრულდა მეორე ფაზის ნიშნულები, ასევე მოცემულია იმ ღონისძიებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს მეორე ფაზით გათვალისწინებული დანარჩენი ნიშნულების ეფექტიანობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

¹ COM(2013) 808 final.

² COM(2014) 681 final.

ანგარიშს თან ერთვის ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტი თანამშრომელთათვის³, სადაც უფრო დეტალურადაა აღწერილი ამ ანგარიშში მოცემული სურათი. „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამუშაო დოკუმენტის დანართში აღწერილია სავიზო რეჟიმის სამომავლო ლიბერალიზაციის გავლენა მოსალოდნელ მიგრაციასა და უსაფრთხოებაზე, ფაქტობრივ ანალიზსა და სტატისტიკაზე დაყრდნობით. მიღებული მონაცემები და ინფორმაცია მიგრაციულ და უსაფრთხოების სფეროებში ძირითადი ტენდენციების განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს და გვიჩვენებს, რომ საქართველოდან გასული მიგრანტებისთვის ევროკავშირი მიმზიდველი მიმართულებაა, ამიტომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური გამოწვევები მონიტორინგს საჭიროებს.

2. „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ოთხი ბლოკით გათვალისწინებული საქმიანობის შეფასება

2.1. ბლოკი 1: დოკუმენტების უსაფრთხოება, ბიომეტრიის ჩათვლით

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ასრულებს სამოქალაქო რეესტრის ფუნქციას, გასცემს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს და ახორციელებს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ პროცედურებს. ეს არის კარგად მართული უწყება, შესაფერისი და საქმის მცოდნე ზედა რგოლის მენეჯმენტით, რომლის ფუნქციები და პასუხისმგებლობა მკაფიოდაა განსაზღვრული. თანამშრომლების სამსახურში აყვანის პროცესი ჯანსაღია, ისევე, როგორც მიდგომა თანამშრომლების ტრენინგის მიმართ. უზრუნველყოფილია აუცილებელი ტრენინგი, მიმდინარე ტრენინგის ჩათვლით, რაც ფუნქციების ეფექტიანად და დროულად შესრულებას ემსახურება.

საქართველოში განცხადებების მიღების და დოკუმენტების გაცემის სისტემა ეფექტიანი და უსაფრთხოა; უზრუნველყოფილია განცხადებების მიმღებთა, გადაწყვეტილების მიმღებთა და დოკუმენტების გამცემთა ფუნქციების გამოჯნვა. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისი ბიომეტრიული პასპორტების შემოღება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ წარმატებით განხორციელდა.

დოკუმენტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნიშნულები დაკმაყოფილებულად ითვლება.

2.2. ბლოკი 2: საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაცია და თავშესაფარი

2.2.1. საზღვრის ინტეგრირებული მართვა

³ COM(2015) 103 final.

ბოლო ათი წლის განმავლობაში სამართლებრივ ჩარჩოზე წერმატებულმა მუშაობამ და კანონმდებლობის ეფექტიანად განხორციელებაზე ზრუნვამ უზრუნველყო საქართველოს საზღვრის ინტეგრირებული მართვის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა. საქართველოს ხელისუფლებაში ჩანს მკაფი მზაობა სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების შემდგომი განმტკიცების მიმართულებით. საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია განახლდა; ყველა შესაბამის უწყებას შორის არის ურთიერთგაგება საზღვრის მართვის გაუმჯობესების აუცილებლობასთან დაკავშირებით. სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფს კონკრეტული ღონისძიებების, პასუხისმგებლობების და ვადების მითითებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა.

სატრანსპორტო ნაკადის მოცულობასთან შედარებით სასაზღვრო წესების დარღვევათა რაოდენობა მცირეა, ხოლო ტრანსსასაზღვრო სატრანსპორტო წესების დარღვევები ნაკლები. სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრის გადაკვეთის პუნქტები ჰარმონიზებული წესითაა მოწყობილი. თანამშრომლობა საპატრულო პოლიციასა და შემოსავლების სამსახურს შორის სამაგალითოა. სასაზღვრო გამშვები პუნქტები, რომლებიც ტრანსსასაზღვრო სატრანსპორტო ნაკადებს აკონტროლებენ თანამედროვეა და პრაქტიკული.

საზღვრის ინტეგრირებულ მართვასთან დაკავშირებული ნიშნულები დაკმაყოფილებულად ითვლება.

2.2.2. მიგრაციის მართვა

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონი კარგად სრულდება; ყველა საჭირო კანონქვემდებარე აქტი მიღებულია. საქართველოს 2013–2015 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება ქვეყნის მიგრაციის მართვაში განხორციელებული ძირითადი ღონისძიებაა. გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება მიმდინარეობს. მიგრაციის საკითხებზე მომუშავე შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას ეფექტიან კოორდინირებას უწევს მთავრობის საკონსულტაციო ორგანო – მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია. საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციის შესაძლებლობების და ადამიანური რესურსების მართვა ზოგადად დამაკმაყოფილებელი და ეფექტიანია. ყველა შესაბამის სექტორსა და სამინისტროში უზრუნველყოფილია თანამშრომელთა ტრენინგის ადექვატური დონე. რეადმისიის პროცედურები და რეადმისიის საქმეების მართვის ელექტრონული სისტემა დანერგილია და კარგად ფუნქციონირებს.

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის იმ ნაწილების ამოქმედება, რომელიც დაკავებას და დაბრუნებას

შეეხება, 2015 წლის 1 ივლისამდე გადაიდო. ხელისუფლებამ ყველა საჭირო მექანიზმი და საშუალება დანერგა. საჭიროა სიღრმისეული ანალიზი, რომ განისაზღვროს ნებისმიერი ტიპის ხარვეზი და სამართლებრივი საკითხი, რომელსაც მოგვარებას საჭიროებს.

მიგრაციის მართვის ნიშნულები თითქმის შესრულებულად ითვლება.

რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ:

- შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოღებული რისკების ანალიზის კონცეფციას ჩაამატოს მიგრაციის პოლიტიკის ყველა შესაბამისი სფერო, მათ შორის თავშესაფრის პოლიტიკა, სამართლებრივი მიგრაციის პოლიტიკა და ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის საკითხები.
- მართვის ერთიან სტრუქტურაში გააერთიანოს რეინტეგრაციის ღონისძიებები, რომ მოხდეს მათი მართვა სტრატეგიულად, მკაფიოდ განსაზღვრული სექტორული პოლიტიკის მიმართულებების საფუძველზე. ხელისუფლებამ უნდა განაგრძოს მობილურობის ცენტრების უზრუნველყოფა მდგრადი დაფინანსებით და გაზარდოს მათი შესაძლებლობები რისკების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით. საქართველოში (ნებაყოფლობით, დემპორტაციითა და რეადმისიით) დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობის დასადგენად შექმნას ანალიტიკური ანგარიშგების სისტემა.
- უნდა ჩატარდეს უფრო ინტენსიური საინფორმაციო კამპანიები რეგიონულ, ადგილობრივ და ყველა სხვა დონეზე საქართველოს მოქალაქეების სამომავლო უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

2.2.3. თავშესაფრის პოლიტიკა

თავშესაფართან დაკავშირებული მყარი საკანონმდებლო ბაზა საქართველომ შედარებით მოკლე ვადაში მიიღო. ლტოლვისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ საქართველოს კანონით უზრუნველყოფილია საჭირო ინსტიტუციური ჩარჩო, სამართლებრივი პროცედურები და პრინციპები, და დიდწილად შეესაბამება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. ზოგადად, კანონის აღსრულება დაკმაყოფილებელია. ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის პროცედურის ხარისხი ზოგადად მისაღებია.

2014 წლის 15 ნოემბრიდან დაინერგა და ყველა თავშესაფრის მაძიებელზე გაიცემა დროებითი პირადობის მოწმობა. შეიქმნა და კარგად ფუნქციონირებს წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის (COI) განყოფილება. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტეგრაციის მიმართულებით, მაგალითად, მათ მიენიჭათ ჯანდაცვისა და დასაქმების ისეთივე გარანტიები, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

თავშესაფრის პოლიტიკის ნიშნულები ნაწილობრივ შესრულებულად ითვლება და არსებობს შემდგომი წინსვლის კარგი პერსპექტივა. რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ:

- გაგრძელოს ჰუმანიტარულ საფუძველზე ვიზების გაცემის პროცედურების შემუშავებაზე მუშაობა;
- შექმნას თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის მონიტორინგის სისტემა, რომელიც ხარისხის მკაფიო ინდიკატორებზე იქნება დაფუძნებული;
- შეიმუშავოს დაგროვილი საქმეების მართვის სტრატეგია და მოულოდნელი ნაკადების საგანგებო მართვის სისტემა; ხელმისაწვდომი გახადოს საკმარისი ოდენობის ადამიანური და ფინანსური რესურსები;
- უზრუნველყოს, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეძლოს საქმეებზე მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღება, დამოუკიდებლად და მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისად. იმ განმცხადებლებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ვინც თავშესაფარზე უარი მიიღო, უნდა მიეცეთ თუნდაც მინიმალური წვდომა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც გაიცა უარყოფითი რეკომენდაცია უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომ მათ შეძლონ მისი სასამართლოში გასაჩივრება სამართლიანი სასამართლოს პრინციპით.
- შეიმუშავოს სტანდარტული ეროვნული სასწავლო პროგრამა როგორც ახალი, ისე გამოცდილი თანამშრომლებისათვის.
- შემოიღოს წარმოშობის ქვეყნების მონაცემთა ბაზა და ანგარიშები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება განაცხადებზე მომუშავე ყველა თანამშრომლისთვის. განაცხადებზე მომუშავე თანამშრომლებს ჩაუტაროს ტრენინგები წარმოშობის ქვეყნის ძირითადი პრინციპების შესახებ. შემოიღოს მკაფიო გამიჯვნა წარმოშობის ქვეყანასა და თავშესაფრის პოლიტიკით უზრუნველყოფილ პროდუქტებს შორის. უზრუნველყოს სამუშაო ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებში არსებული წარმოშობის ქვეყნის უწყებებთან.
- გადადგას ნაბიჯები იმის შესაფასებლად, თუ როგორ უნდა შემცირდეს საბუთების დამუშავების ვადა გასაჩივრების ეტაპზე და დაინერგოს უფრო გონივრული ვადა სასამართლოში გასაჩივრებისათვის, ვინაიდან დღეს არსებული 10-დღიანი პერიოდი მეტისმეტად ხანმოკლეა.
- სააპელაციო პროცედურებისათვის ჩამოაყალიბოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადვილად ხელმისაწვდომი, დამოუკიდებელი და მაღალხარისხიანი უფასო იურიდიული დახმარების სისტემა.

- გააგრძელოს მუშაობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ლტოლვილებს რომლებსაც სურთ გახდნენ საქართველოს მოქალაქეები, პრაქტიკაში ხელი მიუწვდებოდეთ ნატურალიზაციის პროცედურაზე.
- მიღწეულ წინსვლაზე დამატებით, შეიმუშავოს ადგილებზე ინტეგრაციის სტრატეგია, მკაფიო, ეტაპობრივად გაწერილი სამოქმედო გეგმით. უზრუნველყოს საკმარისი მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება და კოორდინაციის ეფექტიანი მექანიზმი.

2.3. ბლოკი 3: საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2.3.1. ორგანიზებულ დანაშაულთან, ტერორიზმთან და კორუფციასთან ბრძოლა და მათი პრევენცია

2.3.1.1. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და მისი პრევენცია

საკანონმდებლო ცვლილებებმა, სტრუქტურულმა რეფორმებმა და სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობებზე, მათ შორის თანამშრომლობასა და კოორდინაციის გაძლიერებაზე მიმართულმა საქმიანობამ, შესაძლებელი გახადა ეფექტიანი ზომების მიღება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. ორგანიზებული დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, მათ შორის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ამოღების თანამედროვე კანონმდებლობამ, შესაძლებელი გახადა ყველაზე ცნობილი ორგანიზებული დანაშაულებრივ ჯგუფებთან გამკლავება. ორგანიზებული დანაშაულის შესახებ საზოგადოების ინფორმირების პროგრამამ საზოგადოებრივი აზრი მის წინააღმდეგ განაწყო.

სამართალდამცავი ორგანოებსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის კარგი კოორდინაციაა და ის კარგად ფუნქციონირებს. კოორდინაციის უზრუნველყოფა, სხვა საშუალებებთან ერთად, შესაძლებელი გახდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით, რომელიც ინფორმაციისა და პასუხისმგებლობების გაზიარების ეფექტური უწყებაა.

საბჭო ასევე უზრუნველყოფს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სწორად წარმართვას. შესაძლებლობა, რომელიც საქართველოში დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის სფეროში ჩამოყალიბდა, საფრთხეების საფუძვლიანად შეფასების საშუალებას იძლევა.

ნიშნულები ორგანიზებული დანაშაულის სფეროში შესრულებულად ითვლება.

2.3.1.2. ადამიანთა ტრეფიკინგი

საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ადამიანთა ტრეფიკინგის

წინააღმდეგ ბრძოლაში. კანონმდებლობა ყოველსმომცველია; შექმნილია ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა ძირითადი მხარეებს შორის კოორდინაციისა და მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის საშუალებას. არსებობს მზადყოფნა იმისა, რომ უზრუნველყოფილი იყოს სპეციალისტთა მიმდინარე ტრენინგები და განხორციელდეს ვრცელი პროგრამა საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუმცა, სახეზეა მნიშვნელოვანი სისუსტეები, როდესაც საქმე ეხება დაუცველი მსხვერპლის, განსაკუთრებით ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილებას. კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით აღჭურვილი შრომის ინსპექციის სისტემის არარსებობა ზღუდავს იძულებითი შრომის მიზნით ტრეფიკინგის აღკვეთის შესაძლებლობას. შემფოთებას იწვევს შემთხვევების მცირე, მაგრამ მზარდი რაოდენობა; შემფოთების საგანია ისევე ის, რომ ვერ ხერხდება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სერვისებით სარგებლობა.

ნიშნულები ადამიანთა ტრეფიკინგის სფეროში ნაწილობრივ შესრულებულად ითვლება და არსებობს შემდგომი წინსვლის კარგი პერსპექტივები.

რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ:

- გადახედოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებას, კერძოდ, არსებული თავშესაფრების მოწყობასა და საქმიანობას და უზრუნველყოს, რომ ადეკვატურად დაკმაყოფილდეს მათი საჭიროებები, ვისაც თან ბავშვები ახლავს.
- გადახედოს ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას, რომ ის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს ყველა იდენტიფიცირებული და შესაძლო მსხვერპლისთვის.
- გადახედოს შრომის ინსპექციის დეპარტამენტის სტატუსს, მანდატს და უფლებამოსილებას, რომ მან შეძლოს შრომითი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის იდენტიფიცირება და ქონდეს მსგავს დარღვევებზე რეაგირების უნარი.
- გადადგას ნაბიჯები ყველა სახის ექსპლუატაციის პროაქტიური, დაზვერვის მასალებზე დაფუძნებული უფრო ინტენსიური გამოძიების საწარმოებლად.
- შეიმუშავოს მკაცრი მიდგომა მათ წინააღმდეგ, ვინც სარგებლობს კომერციული სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ქალების ტრეფიკინგით; მიდგომას უნდა ქონდეს ორმხრივი ამოცანა – ჩვენებების უზრუნველყოფა და ამგვარ მომსახურებაზე მოთხოვნის აღმოფხვრა.
- გადახედოს და გააუმჯობესოს ამ სფეროში ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ორგანიზაციებიდან მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რომ უკეთ განისაზღვროს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა, სქესი, ასაკი, ეროვნება და ექსპლუატაციის ტიპი.

- გადახედოს და გადაახალისოს სხვადასხვა ცხელი ხაზები იმისთვის, რომ მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი შეტყობინებების მიღება საზოგადოებისა და მსხვეპლების მხრიდან.
- გაიზარდოს კავშირები და პარტნიორობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც „ევროპოლის“ მიერ მიჩნეულნი არიან როგორც ტრეფიკინგის ძირითადი დანიშნულების ადგილები და წყაროები, ესენია: თურქეთი, ასევე აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, უზბეკეთი და სომხეთი.

2.3.1.3. კორუფციის თავიდან აცილება და ბრძოლა მის წინააღმდეგ

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბაზის გასამტკიცებლად მრავალრიცხოვანი ღონისძიებები გატარდა და ტარდება. 2014 წლის ნოემბერში მთავრობამ სახელმწიფო სამსახურის რეფორმირების გეგმა დაამტკიცა, 2015 წლის თებერვალში კი საქართველომ ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა 2015-2016 წლებისთვის. 2015 წლის იანვარში მთავარ პროკურატურაში სპეციალიზებული ანტიკორუფციული სამსახური შეიქმნა. აღნიშნული სამსახურის მანდატი ითვალისწინებს მაღალი დონის კორუფციის ფაქტების გამოძიებას. მთავარი პროკურორის დანიშნვა და განთავისუფლება უნდა მოხდეს ღიად, პიროვნული ღირსებების გათვალისწინებით, ობიექტურად და გამჭვირვალედ, არასათანადო პოლიტიკური გავლენის გარეშე. გრძელდება გაუმჯობესებული დამცავი ზომების გატარება საპროცესო შეთანხმების არასწორი გამოყენების წინააღმდეგ, რომელსაც პატიმრობაში მყოფი პირები აწერდნენ ხელს, განსაკუთრებით 2012 წლის წინანდელი პერიოდის თანამდებობრივი გადაცდომების პირობებში. იმ მოქმედი მოსამართლეების ხელახალი დანიშვნის პროცედურა, რომლებსაც ათწლიანი ვადა ეწურებათ, საგანგებო მონიტორინგის საგანი უნდა გახდეს, რადგან ამას უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ზოგადად მართლმსაჯულების აღსრულებისთვის. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მოქმედი მოსამართლის მოსახსნელად ფაქტობრივი მიზეზები არსებობს, უნდა მოხდეს ამგვარი ხელახალი დანიშვნა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ნიშნულები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად ითვლება და არსებობს შემდგომი პროგრესის პერსპექტივა. რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ:

- გაატაროს სახელმწიფო სამსახურის რეფორმა და მიიღოს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი კანონი სახელმწიფო სამსახურის შესახებ, განსაზღვრონ პროფესიონალური და დეპოლიტიზებული სახელმწიფო სამსახურის სტანდარტები. კანონში გათალისწინებული უნდა იქნეს დამატებითი დამცავი ზომები სახელმწიფო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის განთავისუფლებასთან დაკავშირებით;
- დააწესოს ქონებრივი დეკლარაციის ფორმების სისტემატური კონტროლი, რომელიც გამაგრებული იქნება უსაფუძვლო გამდიდრების, ინტერესთა

კონფლიქტის და შეუთავსებლობის წინააღმდეგ მიმართული სანქციების სისტემით. ახალი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ქონებრივი დეკლარაციების კონტროლს, უნდა ითვალისწინებდეს სიღრმისეული კონტროლის პროცედურებს დაუსაბუთებელი სიმდიდრის, ინტერესთა კონფლიქტის და შეუთავსებლობის გამოსავლენად, აგრეთვე სათანადო შემაკავებელ სანქციებს. მნიშვნელოვანია, რომ დაარსდეს საგანგებო უწყება, რომელიც აღნიშნული კონტროლის შედეგებს შეისწავლის, ან უკვე არსებულ უწყებას დაევალოს ამის გაკეთება;

- უზრუნველყოს, რომ წესები, რომლებშიც განსაზღვრულია კრიტერიუმები სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტებისთვის სატენდერო პროცესის გარეშე, გარკვევით მიუთითებდეს იმ კონკრეტულ გარემოებებს, როდესაც ამის გაკეთება შეიძლება, და იმ პროცედურებს, რომლებიც უნდა შესრულდეს. აღნიშნულ პროცედურებში უნდა იყოს მოთხოვნა საზოგადოებრივი აზრის და საპირისპირო მოსაზრებების მქონე ადამიანების აზრის გათვალისწინების შესახებ. საჭიროა, რომ გადაწყვეტილებას ტენდერზე უარის თქმის შესახებ დამოუკიდებლად ამტკიცებდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;
- კიდევ უფრო განამტკიცოს ინფორმატორების (whistle-blowers) რეალური დაცვა ანგარიშების უსაფრთხო წარმოდგენასთან დაკავშირებით წესებისა და პროცედურების შემოღებით, გაზარდოს საჯარო მოხელეების ცოდნა ინფორმატორობის (whistle-blowers) პრაქტიკასთან დაკავშირებით;
- გააგრძელოს მუშაობა ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ყველა რეკომენდაციის განხორციელებისთვის.

2.3.1.4. ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება

გასულ წელს საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. დღეისათვის სამართლებრივი ბაზა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო ინსტიტუციური საფუძველი, უწყებათაშორისი თანამშრომლობა და ადმინისტრაციული ბაზა უმეტესწილად უზრუნველყოფილია. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელება კვლავაც გეგმის მიხედვით უნდა გაგრძელდეს. ტერორიზმის დაფინანსების პრაქტიკული გამოცდილება შეზღუდულია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება მომზადებული ჩანს საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული პრობლემების დასარეგულირებლად. საპროცესო შეთანხმებების ფართო გამოყენებას ის რისკი ახლავს, რომ კრიმინალები მოძებნიან გზებს უკანონო ქონების კონფისკაციისთვის თავის ასარიდებლად.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ნიშნულები თითქმის დაკმაყოფილებულად ითვლება. რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ:

- გააძლიეროს საკანონმდებლო ბაზა ფულადი სახსრების საერთაშორისო მოძრაობასთან დაკავშირებით და გააუმჯობესოს მისი განხორციელება;
- უკეთესად გამოიყენოს არსებული საკანონმდებლო ბაზა კრიმინალური ქონების კონფისკაციის მიზნით;
- შეავსოს დარჩენილი ვაკანსიები ფინანსური მონიტორინგის სამსახურში;
- უზრუნველყოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიისა და ოფსაიტ შემოწმების განყოფილებამ დაიწყო საქმიანობა სრული შემადგენლობით და დაარსდეს ოფსაიტ მონიტორინგის დამოუკიდებელი განყოფილება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში;
- მეტი ყურადღება მიაქციოს და გაზარდოს ინფორმირებულობის დონე ანგარიშვალდებულ ორგანიზაციებში, რომლებიც ან არ წარმოადგენენ ან ძალზე მცირე რაოდენობით წარმოადგენენ სათანადო ანგარიშებს.

2.3.1.5. ნარკოტიკები

მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ნარკოტიკების საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, რომლებიც ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა. წინსვლა აღინიშნებოდა ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირების და მათ მიერ გამოწვეული ზიანის შემცირების კუთხით, აგრეთვე მკურნალობისა და რეაბილიტაციის თვალსაზრისით. სხვადასხვა პროექტის და პროგრამის წყალობით გაიზარდა ახალგაზრდების ინფორმირებულობა ნარკომანიასთან დაკავშირებულ ზიანსა და საფრთხესთან დაკავშირებით. სამართალდამცველი ორგანოების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ნარკოტიკების მიწოდების შესამცირებლად და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გასაძლიერებლად. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული სამართალდამცველი ორგანოების სამუშაო მექანიზმების, პროცესების და მონაცემთა ბაზების, სათანადო აღჭურვილობის და ტრენინგების უზრუნველყოფის კუთხით.

აღნიშნული პროგრესის მიუხედავად, ნარკომანიასთან ბრძოლის ეროვნული პოლიტიკა კვლავაც სადამსჯელო ზომებს ეყრდნობა და არა სარეაბილიტაციო ღონისძიებებს.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ნიშნულები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად ითვლება და არსებობს შემდგომი პროგრესის პერსპექტივა. რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ:

- კიდევ უფრო გააძლიეროს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პოლიტიკის ის მხარე, რომელიც დაკავშირებულია მოწოდების შემცირებასთან, მათ შორის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით,

რომლებიც მიზნად დაისახავს გამიჯნოს ნარკოტიკების პირადი მოხმარებისთვის ფლობა და მათი რეალიზაცია;

- გაითვალისწინოს სამართლებრივი კონტროლის შემოღება პოლიციის მიერ დაუგეგმავად განხორციელებულ ნარკოშემოწმებებზე.

2.3.2. სასამართლო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებში

საქართველო საკმარისად კარგად ახორციელებს სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს საიმისოდ, რომ ქვეყანა აქციოს სტაბილურ და საიმედო პარტნიორად სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო სისტემების საერთაშორისო თანამშრომლობაში. აღნიშნული ჩარჩოს სამართლებრივი ინსტრუმენტები - როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო - განახლებულია და იმგვარად გამოიყენება, რომ შესაძლებელი იყოს საერთაშორისო თანამშრომლობა სერიოზულ დანაშაულებთან ბრძოლისას. მნიშვნელოვანი წინსვლაა მიღწეული მოსამზადებელ სამუშაოებში „ევროჯასტთან“ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად.

სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო თანამშრომლობასთან დაკავშირებული ნიშნულები დაკმაყოფილებულად ითვლება.

2.3.3. თანამშრომლობა სამართალდამცველ უწყებებს შორის

სამართალდამცველი უწყებები ერთობლივად მუშაობენ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში და ამ საქმიანობას კომპლექსურად, მრავალდარგობრივ მიდგომაზე (საბჭოს, კომიტეტებსა და სააგენტოებს შორის კოორდინაციაზე) დაყრდნობით ასრულებენ. გამომძიებლებსა და პროკურორებს შორის კარგი ურთიერთკავშირი არსებობს და უზრუნველყოფილი იქნა სათანადო თანამშრომლობა უწყებებს შორის. ქართულ უწყებებს აქვთ თანამედროვე აპარატურა, რომელიც ეხმარება მათ გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის განხორციელებაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის მთავარ დეპარტამენტს და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები აქვთ. წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერის შედეგად ღრმავდება ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა ევროკავშირთან.

სამართალდამცველ უწყებებს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებული ნიშნულები თითქმის დაკმაყოფილებულად ითვლება. რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ:

- დაიწყოს შეფასების რეგულარული ანგარიშების მომზადება ყველანაირ საფრთხეებთან, მათ შორის სამომავლო ტენდენციებთან და საფრთხეებთან დაკავშირებით სამართალდამცველი უწყებების მუშაობაზე (რომელსაც

დაზვერვის სამსახური ჩაუდგება სათავეში) და რეგულარულ შეფასებაზე დაყრდნობით.

- განახორციელოს ინფორმირების პროგრამა პოლიციასა და მთავარ პროკურატურაში, მათ შორის რეგიონებში, საოპერაციო დონეზე საერთაშორისო თანამშრომლობის მასშტაბის შესახებ.

2.3.4. მონაცემთა დაცვა

საქართველო დამაკმაყოფილებლად ასრულებს საჯარო და კერძო სექტორებში პირადი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას: ხელისუფლებამ უზრუნველყო მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყების ეფექტიანი ფუნქციონირება. ქვეყანამ გამოყო აუცილებელი ადამიანური და ფინანსური რესურსები, ჩაატარა ტრენინგის პროგრამები და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი წინსვლაა მიღწეული მოსამზადებელ სამუშაოებში „ევროჯასტთან“ თანამშრომლობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

პირად მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ნიშნულები დაკმაყოფილებულად ითვლება.

2.4. მე-4 ბლოკი: საგარეო ურთიერთობები და ფუნდამენტური უფლებები

მოკლე პერიოდის განმავლობაში საქართველომ ამ თვალსაზრისით საგრძნობ წინსვლას მიაღწია. 2014 წელს მიღებული იქნა აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა მოქალაქეობასთან, გადაადგილების თავისუფლებასთან (მიგრაციასთან) და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით.

2.4.1. საქართველოს ფარგლებში გადაადგილების თავისუფლება

2014 წელს მიღებული იქნა ახალი საკანონმდებლო ბაზა, რომლის ძალით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსში. საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს აძლევს შესაძლებლობას, დარჩნენ ქვეყანაში ლეგალურად. მიჩნეულია, რომ უზრუნველყოფილია ქვეყნის ფარგლებში გადაადგილების თავისუფლება საქართველოს მოქალაქეებისთვის, ქვეყანაში ლეგალურად მყოფი უცხოელებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის და ამ თავისუფლების მიმართ არ გამოიყენება არც გაუმართლებელი შეზღუდვები და არც დისკრიმინაციული ხასიათის ზომები.

გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული ნიშნულები დაკმაყოფილებულად ითვლება.

2.4.2. სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის ნიშნულები და პროცედურები

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, მათ შორის ქალებისთვის, ბავშვებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ქვეყნით შიგნით იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის სრულად არის ხელმისაწვდომი სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება.

სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებული ნიშნულები დაკმაყოფილებულად ითვლება.

2.4.3. მოქალაქეთა უფლებები, მათ შორის უმცირესობათა დაცვა

თანდათანობით ხდება ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ქმედითი განხორციელების განმტკიცება პრეცედენტული სამართლისა და პრეცედენტების მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ცოტა საქმე თუ არის შეტანილი სასამართლოებში. ეს მოვლენები მოჰყვა ანტიდისკრიმინაციული კანონის - რომელიც ქმნის საკანონმდებლო ბაზას თანასწორობისა და დისკრიმინაციის არარსებობის უზრუნველსაყოფად - ძალაში შესვლას და მის განსახორციელებლად გატარებულ ზომებს, რომლებშიც გადამწყვეტ როლს სახალხო დამცველის აპარატი ასრულებს.

რაც შეეხება ანტიდისკრიმინაციული კანონის გარკვეულ დებულებებს, ასეთი სიფხიზლე საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პრაქტიკულად ხორციელდებოდეს ადეკვატური და ეფექტიანი დაცვა დისკრიმინაციისგან და რომ ნებისმიერი გადახვევა გამოყენებული იქნეს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების და საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას, პრემიერ-მინისტრთან არსებული ადამიანის უფლებათა სამდივნო სრულად არის დაკომპლექტებული პერსონალით და 2014 წლისთვის დაგეგმილი ყველა სამუშაო შესრულებულია. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა ასევე ეთნიკური უმცირესობების დაცვაში და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობაში.

საქართველომ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები რეგიონული ანუ უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის ხელმოსაწერად და საქართველოს კანონმდებლობის ქარტიის დებულებებთან ჰარმონიზების მისაღწევად. გარდა

ამისა, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მისაღებად.

მოქალაქეთა უფლებებთან დაკავშირებული ნიშნულები თითქმის დაკმაყოფილებულად ითვლება.

რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ:

- გააფართოოს და განაგრძოს საქმიანობა თანასწორობის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით; გაააქტიუროს ძალისხმევა უმცირესობათა თემების ინფორმირებულობის გასაზრდელად მათი უფლებებისა და არსებული სახელმწიფო სერვისებისა და დახმარებების შესახებ; მიიღოს ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად წინა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილების სრულად გათვალისწინებით, ამ გეგმის ქმედითი განხორციელებისთვის ადეკვატური დაფინანსების უზრუნველყოფით და მონიტორინგის ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბებით მისაღწევი მიზნობრივი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.
- გააგრძელოს იურიდიული სფეროს სპეციალისტების ტრენინგი სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან მჭიდრო კონტაქტის პირობებში და სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებების სათანადოდ გათვალისწინებით.

3. საერთო შეფასება და შემდგომი ნაბიჯები

ევროკომისიამ შეაფასა საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეორე ფაზით გათვალისწინებული ნიშნულების შესრულება დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, შემფასებელი მისიებისა და საქართველოს მიერ ევროკომისიისთვის მიწოდებული მონაცემებისა და დოკუმენტების შესაბამისად.

„სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმასთან“ დაკავშირებულ სფეროებში ევროკომისია აგრძელებდა საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მონიტორინგს *ევროკავშირი–საქართველოს სავიზო რეჟიმის გამარტივების ერთობლივი კომიტეტის, ევროკავშირი–საქართველოს რეადმისიის ერთობლივი კომიტეტის, ევროკავშირი–საქართველოს მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების ქვეკომიტეტისა და ადამიანის უფლებების შესახებ დიალოგის ფორმატებში*. მიჩნეულია, რომ თითოეულ ამ ფორმატში

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგი და თანამშრომლობა წინ წასულ ეტაპზეა.

საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ოთხი ბლოკის ფარგლებში. ეს მეტყველებს ქვეყნის ძლიერ მონდომებასა და გაწეული ძალისხმევის მასშტაბზე. ოთხი ზემოხსენებული ბლოკის ფარგლებში საქართველოს მიერ რეფორმების განხორციელების პროცესის და შედეგების სიღრმისეულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ზოგადად, საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკა, ისევე, როგორც ინსტიტუციური და ორგანიზაციული პრინციპებისა და პროცედურების ეთრიანობა, შეესაბამება საუკეთესო ევროპულ და საერთაშორის სტანდარტებს. ამიტომ, ევროკომისია თვლის, რომ საქართველო ძირითადად ასრულებს „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეორე ფაზის ნიშნულებს.

გასული თვეების განმავლობაში საქართველოს მიერ გაწეული მნიშვნელოვანი წინსვლის გათვალისწინებით, ევროკომისია მზადაა გადმოსწიოს შემდგომი ანგარიშის ვადები, თუკი გაგრძელდება სწრაფი წინსვლა იმ ნიშნულებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც წინამდებარე ანგარიშში და სამუშაო დოკუმენტშია აღწერილი. თუმცა, საქართველომ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა ამ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესასრულებლად. ძალზე მნიშვნელოვანია ასევე, რომ გაიმართოს მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიები, სადაც განმარტებული იქნება უვიზო მიმოსვლით სარგებლობის უფლებები და მოვალეობები და ის წესები, რომლებიც ევროკავშირის შრომის ბაზარზე წვდომას არეგულირებს.

ამ ანგარიშში მოცემული ღონისძიებების შესრულება საშუალებას მისცემს საქართველოს, შეასრულოს „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეორე ფაზით გათვალისწინებული ყველა ნიშნული. ევროკომისია გააგრძელებს მონიტორინგს და ყველაფერს გააკეთებს საქართველოს მხარდასაჭერად, ასევე, 2015 წლის ბოლოსთვის მოამზადებს პროცესის მიმდინარეების შესახებ ანგარიშს.